

1.საქმიანობა და ხელშეკრულება საგანი

1.1.გლობალ აუტო სერვისი არის კომპანია რომელიც ავტომფლობელებს სთავაზობს ავტომანქანებისათვის სარემონტო/აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას სათადარიგო მარაგნაწილების მიწოდებით ან მის გარეშე, მხარეებს შორის შეთანხმებული საფასურის მიღების სანაცვლოდ.

1.2.ავტომანქანის მომსახურების პირობები, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად.

2.ვებ-გვერდით სარგებლობა

2.1.ჩვენი მომსახურებით დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენი ვებ-გვერდით სარგებლობის წინაპირობას წარმოადგენს ჩვენსა და თქვენს შორის გაფორმებული შეთანხმება მომსახურების გაწევის შესახებ.

2.2.მომხმარებელი ადასტურებს, რომ ხართსრულწლოვანი 18 წელს მიღწეულიქმედუნარიანი პირი, ან 16 წელს მიღწეული პირი და გაქვთ ნებართვა შესაბამისი პირებისაგან დადოთ წინამდებარე ხელშეკრულება, მიიღოთ ვებ გვერდის საშუალებით მომსახურება და განკარგოთ შესაბამისი თანხები

მომხმარებელი წარმოადგენს ავტომობილის მესაკუთრეს ან/და კანონიერ მფლობელს, რომელსაც გააჩნია ამ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

კომუნიკაციის წესი

გლობალ აუტო სერვისთან კომუნიკაციისთვის მომხმარებელი იყენებს ვებ-გვერდზე მითითებულ საკონტაქტო ტელეფონს ან/და ელექტრონულ ფოსტას.

ავტო-ექსპერტთან კომუნიკაციისთვის მომხმარებელი იყენებს გლობალ აუტო სერვისი მიერ ავტოდახმარებისათვის დანიშნვის თაობაზე მომხმარებლისთვის გაგზავნილ მოკლექსტური შეტყობინებაში მითითებულ ავტო-ექსპერტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერს.

გლობალ აუტო სერვისი და ავტო-დამხმარე მომხმარებელთან კომუნიკაციისთვის იყენებენ მომხმარებლის მიერ განთავსებულ შეკვეთაში მითითებულ საკონტაქტო ტელეფონის

მომსახურების საფასური

მომსახურების საფასური განისაზღვრება 20 ლარის ოდენობით

მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

ხელშეკრულების დადება

ხელშეკრულება ძალაში შედის მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდის მეშვეობით შეკვეთის განთავსებისთანავე და ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი უფლებებისა და ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

ხელშეკრულება ვადამდე წყვეტს მოქმედებას წინამდებარე დოკუმენტის (ხელშეკრულების შეწყვეტის მუხლი) მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეკვეთის გაუქმებისთანავე.

ხელშეკრულების გაუქმება.

მომხმარებელს უფლება აქვს ცალმხრივად გააუქმოს ვებ-გვერდზე განთავსებული შეკვეთა შეკვეთაში მითითებულ დრომდე 1 საათით ადრე. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი თავისუფალია ავტო-ექსპერტისათვის წინამდებარე სარგებლობის ზოგადი პირობებით გათვალისწინებული გასაჯამრჯელოს გადახდისგან. იმ შემთხვევაში, თუ შეკვეთაში მითითებულ დრომდე დარჩენილია 1 საათზე ნაკლები, მომხმარებელი შეკვეთის გაუქმების მიუხედავად ვალდებულია ავტო-დამხმარეს გადაურიცხოს გასამრჯელო.

გლობალ აუტო სერვისს უფლება აქვს გააუქმოს შეკვეთა თუ შეთანხმებულ დროსა და ადგილას მოხმარებელი ავტო-დამხმარე მისვლიდან 30 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება, რის შესახებაც ის მომხმარებელს ატყობინებს მოკლექსტური შეტყობინების სახით

მხარეთა უფლება-მოვალეობები

“დამკვეთი” უფლებამოსილია:

მიიღოს მომსახურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
მოსთხოვოს “შემსრულებელს” ხელშეკრულების პირობების სრულად დაცვა და ვალდებულებების შეუსრულებლობით მიღებული ზიანის ანაზღაურება.

.დამკვეთის მიერ მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით პრეტენზიები მიიღება გაწეული მომსახურებიდან მხოლოდ 5 (ხუთი) დღის ვადაში ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება; გარდა ამისა, პრეტენზიები არ მიიღება იმ შემთხვევაშიც თუკი ადგილი ექნება მექანიკურ ზემოქმედებას (დაზიანებას) შემსრულებლის შეცვლილ აგრეგატზე ან დადგინდება რომ წარმოდგენილ ავტომანქანას ნებისმიერი სახის (მათ შორის შეცვლილი დეტალის დემონტაჟის მიზნით) სერვისის ჩაუტარდა არა „შემსრულებლის“ სერვისის ცენტრში.

დამკვეთი უფლებამოსილია, ა/მანქანის სერვისულ მომსახურებაზე დატოვებისას, მოითხოვოს ხოლო შემსრულებელი ვალდებულია შეადგინოს ა/მანქანის დათვალიერების ოქმი, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთის ნებისმიერი პრეტენზიები მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ უსაფუძვლოა და არ იქნება განხილული.

“დამკვეთი” ვალდებულია:

დროულად და სრული მოცულობით გადაიხადოს “შესრულებული” მომსახურების საფასური.

შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები სრულად და ჯეროვნად.

შემსრულებელს გადასცეს ავტომობილი, რომელშიც არ იქნება კანონით აკრძალული ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთი ან ნივთიერება

“შემსრულებელი” უფლებამოსილია:

მოსთხოვოს “დამკვეთს” წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და დათქმულ ვადებში შესრულება;

მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების სრული და დროული ანაზღაურება;

“შემსრულებელი” ვალდებულია:

“დამკვეთს” გაუწიოს ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე სრული და მაღალ-კვალიფიციური მომსახურება;

სრულად აანაზღაუროს ზიანი, რომელიც “დამკვეთს” მიადგება “შემსრულებლის” მიერ გაწეული არაკვალიფიციური მომსახურების შედეგად;

უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება, გადასცეს “დამკვეთს”/ავტომობილის მფლობელს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო პროდუქცია და მომსახურება.

მხარეთა პასუხისმგებლობა, დავის გადაწყვეტა და ფორსმაჟორი

თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის.

თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია მეორე მხარის ბრალის შედეგად.

წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პასუხისმგებლობა არ დადგება თუკი ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით (ფორს-მაჟორი), რაც შეუძლებელს ხდის ამ ხელშეკრულების შესრულებას;

ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეთა

შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოწახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, ხელშეკრულების შესრულება გადაიწვეს იმ ვადით რა ვადითაც ადგილი ექნება ფორს-მაჟორს, მაგრამ არაუმეტეს 1(ერთი) თვის ვადისა. ასეთი ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მხარეები დამატებით გადაწყვეტენ ურთიერთობების ფორმებსა და პირობებს; მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა სახის დავა, რომლებიც წარმოიშობა მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის, განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოსათვის მიმართვის გზით.